საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნუკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ლისი, "ჭეების მიწა" ლ. კვაჭაძის ქუჩაზე, ახალი იპოდრომის მოპირდაპირედ, (ს/კ:72.16.18.964)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სასაწყობო შენობა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: ნ.მაღალაშვილი

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 63-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 63-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარეკედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ლიფტების შეფასებას;

ნ) ღია ავტოსადგომის შეფასებას.

გამოკვლევა

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, (ს/კ:72.16.18.964) -ით, 2830 კვ.მ ფართობის საპროექტო მიწის ნაკვეთზე 2(ორ) სართულიანი, **8.10** მ. სიმაღლის, სასაწყობო შენობის განთავსებას, რომელსაც გააჩნია მიწისქვეშა სართული.

პროექტს წინაპირობად უდევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საპროექტო არეალში შეთანხმებულია ჩარჩო გეგმა, რომლის ბრძანების ნომერია №613835 12/04/2013. ასევე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ), რომლის ბრძანების ნომერია: №3677674 13.11.2017 აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1

საპროექტო შენობაში განთავსებულია რამდენიმე ფუნქციური დანიშნულების სივრცე:

- მიწისპირა სართულზე პავილიონის ტიპის შოურუმი და მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულოს ოთახი.

შენიშვნა: ქვეთავი **303.1 თავშეყრის ჯგუფი თვ.-ის მიხედვით** თავშეყრის (თვ) ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მათი ნაწილის გამოყენებას ადამიანთა შეკრებისათვის, მათ შორის საკვების მისაღებ ოთახებს.

ქვეთავის 303.1.2 თავშეყრის მცირე სივრცეები. -ის გამონაკლისი 2 -ის გათვალისწინებით:

2. თავშეყრისათვის გამოყენებული ოთახი ან სივრცე, რომელიც სხვა დაკავებულობის დამხმარეა და რომლის ფართობი 70 მ^2-ზე ნაკლებია, უნდა კლასიფიცირდეს, როგორც **სქ** ჯგუფის დაკავებულობა ან მისი ნაწილი.

შესაბამისად მიწისპირა სართულზე განთავსებული სამზარეულო კლასიფიცირდება **სქ** ჯგუფად.

- მიწისზედა II სართულზე განთავსებულია მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი საოფისე ფართობი.

- შენობას გააჩნია მინუს სართული, სადაც გათვალისწინებულია ლითონის ნაწილების შესანახი სასაწყობო ფართობი და საპარკინგე სივრცე, რომელსაც მინიჭებული აქვს სწ-2.

გამომდინარე აქედან საქმე გვაქვს რამდენიმე დაკავებულობის ჯგუფთან, ესენია:

- საქმიანი ჯგუფი (სქ) და სასაწყობო ჯგუფი (სწ-2) .

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვებისშეფასება:

მიწიქვეშა სართულზე არის სასაწყობო ფართობი და ავტოსადგომი, რომლის ორივე სივრცე სწ-2 ჯგუფს მიეკუთვნება. +4.07 ნიშნულზეც მხოლოდ ერთი დაკავებულობა აქვს სქ ჯგუფი. +0.10 ნიშნულზე არსებულ სივრცეებს მინიჭებული აქვს ორი დაკავებულობა სქ და სწ-2.

მიწისპირა სართულზე გვხვდება რამდენიმე დაკავებულობა, ესენი არის: პავილიონის ტიპის შოურუმი, რომელიც სწ-2 ჯგუფს მიეკუთვნება, მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო რომელიც სქ ჯგუფად კლასიფიცირდება და ჰოლი, რომელიც „წესების“ მიხედვით დაკავებულობის მინიჭებას არ საჭიროებს.

+4.07 ნიშნულზე მხოლოდ ერთი დაკავებულობა აქვს რომელიც სქ ჯგუფად კლასიფიცირდება.

ყოველი ზემოხსენებული სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 303.3, 303.4, 309, 310.4, 311.2, 311.3 და 312 ქვეთავის მოთხოვნებს.

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშიც საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს კერძოდ:

- საწყობის ერთეულებისათვის(სწ-2) მიკუთვნებულია სასაწყობო სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 46,5-ზე.
- საწყობის ერთეულებისათვის(სწ-2) მიწისქვეშა ავტოსდგომი(პარკინგი)) მიკუთვნებულია სასაწყობო სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 18,6-ზე.

- საქმიანი წარმოების(ბიზნეს) ფართობებისთვის(სქ) მიკუთვნებულია +0.10 და +4.07 ნიშნულზე სამი კაბინეტისთვის, და შემდეგ მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 9,3-ზე.

დაკავებულობის დატვირთვა დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- პროექტის ავტორების მიერ საპროექტო შენობებისათვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი წარმოადგენს V-A ტიპს. შერჩეულია შენობების დაკავებულობის, სიმაღლის,სართულიანობისა და ფართობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

გ)სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპებთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503ცხრილის მოთხოვნებს.შენობების სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 8.10 მ. ვინაიდან არცერთი შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23მ-ზე მაღლა, „წესების“ განმარტების მიხედვით შენობები არ არის მაღლივი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

მიწისქვეშა სართულზე (სწ-2 დაკავებულობით) 10-ე თავის (ქვეთავი 1005 -გასასვლელი საშუალების ზომა) მიხედვით ღიობების მოთხოვნილი რაოდენობა არის 1, პროექტით გათვალისწინებულია 1 კარი. გასასვლელის სხვა კომპონენტები მოთხოვნილია 0.82მ, ხოლო პროექტით გათვალისინებულია 4,00X2,90 მ კარი.
მიწისპირა სართულზე არსებულ ერთ სივრცეს (სწ-2 დაკავებულობით) 10-ე თავის (ქვეთავი 1005 -გასასვლელი საშუალების ზომა) მიხედვით ღიობების მოთხოვნილი რაოდენობა არის 1, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 2 კარი 1.30X2.40 და 1.40X2.40. ხოლო მეორე სივრცეს (სწ-2 დაკავებულობით) 10-ე თავის (ქვეთავი 1005 -გასასვლელი საშუალების ზომა) მიხედვით ღიობების მოთხოვნილი რაოდენობა არის 1, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 2 კარი 5.00X3.50 და 1.50X3.50.
ჰოლის სივრცეს რომელიც ემსახურება +0.10 ნიშნულზე განთავსებულ სასაწყობო და საქმიან ჯგუფ აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარის სახით, რომელიც პირდაპირ შენობის გარეთ გადის . დამკავებელთა რაოდენობის სქ ჯგუფში არის(1) , . გასასვლელთან სავალი მანძილის(10.40 მ.) გათვალისწინებით აღნიშნული სივრცისთვის ერთი გასასვლელი საკმარისია და აკმაყოფილებს როგორც 1015.1 ასევე 1016,2 ცხრილების მოთხოვნებს.

პირველ სასაწყობო ჯგუფს სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი სივრცეს) აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარის სახით, რომელიც პირდაპირ შენობის გარეთ გადის . დამკავებელთა რაოდენობის სწ-2 ჯგუფში არის (5) , გასასვლელთან სავალი მანძილის(27,29 მ.) გათვალისწინებით აღნიშნული სივრცისთვის ორი გასასვლელი საკმარისია და აკმაყოფილებს როგორც 1015.1 ასევე 1016,2 ცხრილების მოთხოვნებს.

მეორე სასაწყობო ჯგუფს სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი სივრცეს) აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარის სახით, რომელიც პირდაპირ შენობის გარეთ გადის . დამკავებელთა რაოდენობის სწ-2 ჯგუფში არის (9) , გასასვლელთან სავალი მანძილის(23,06 მ.) გათვალისწინებით აღნიშნული სივრცისთვის ორი გასასვლელი საკმარისია და აკმაყოფილებს როგორც 1015.1 ასევე 1016,2 ცხრილების მოთხოვნებს.

- შენობის გზა-კიბე, რომელიც „1”–“2” ღერძებს შორის არის განთავსებული, შენობის გარეთ მიემართება შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობის(ჰოლი) გავლით, რაც შესაძლებელია ვინაიდან დაკმაყოფილებულია 1027.1 ქვეთავის№1 გამონაკლისის მოთხოვნები;

- შენობის გზა-კიბეებს, ანუ გასასვლელებს აქვს გასასვლელთან მისადგომები საკმაოდ განიერი დერეფნების სახით, რაც აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის მოთხოვნებს;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილების ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობების გათვალისწინებით და აკმაყოფილებს„წესების“ 1016.2 ცხრილის და 1016.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეშიხდება დაუბრკოლებლად.

ე)გზა-კიბეებისა და სხვაგასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შენობის გზა-კიბეების სიგანე არის 1,4 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ, მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული, კერძოდ: დერეფნების სიგანე +4,07 ნიშნულზე 2,07 მ-ია, რაც აკმაყოფილებს 1005.3.2 ქვეთავის და 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს(1,2მ-ზე მეტია).

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვ)მისაწვდომობი ს შეფასება:

- შენობის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: შენობის იატაკის ნიშნული და საზოგადოებრივი სივრცის ნიშნულის სხვაობა შეადგენს 73 სმ.-ს პროექტანტმა გაითვალისწინა პანდუსი, შესაბამისად საპროექტო შენობის სივრცის შესავლელი მისაწვდომია. პანდუსი აკმაყოფილებს 1010,9 ქვეთავის მოთხოვნას (სახელურებთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული პანდუსი 73 სანტიმეტრს არ აღემატება და არ საჭიროებს სახელურების მოწყობას). 1013.2 ქვეთავის მიედვით.

- **1013.2 საჭიროება.** მოაჯირები უნდა განთავსდეს სავალი ზედაპირების ღია მხარის გასწვრივ: ანტრესოლებზე, მოწყობილობების ბაქნებზე, კიბეებზე, პანდუსებზე და ბაქნებზე, რომლებიც მდებარეობს 75 სმ-ზე მაღლა. ეს მანძილი იზომება მათ ქვემოთ არსებული იატაკიდან ან ქანობიდან შვეულად, ღია მხარის კიდიდან თარაზულად 90 სმ-ის საზღვრებში მდებარე ნებისმიერ წერტილში. მოაჯირის სიმტკიცე და დამაგრება სათანადოდ უნდა უზრუნველყონ.

- ასევე აკმაყოფილებს 1010.7.2 და 1010.7.3 მოთხოვნებს;
- შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი;

- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

ზ)გარეკედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

განსხვავებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით საპროექტო შენობების კედლებს, 602 ცხრილის მიხედვით, სხვადასხვა ცეცხლმედეგობის ხარისხი ეკუთვნის.
განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

- პროექტანტმა შენობის „1“-„7“ ფასადის კედლებზე ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათიანი გაითვალისწინა, მოთხოვნით არ ესაჭიროებოდა რადგან დაშორება ესაჭიროება, რადგან მათი დაშორება ქუჩის ღერძიდან მერყეობს 7.79-10.31 მეტრს შეადგენს;

- ”7”-“1” ფასადის ღერძებში მოქცეულ გარე კედლებზე, რომელთა დაშორება ქუჩის ღერძიდან მერყეობს 16.40 -დან - 25.28 მ-მდე;

- არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, პროექტით გათვალისწინებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა;
  შენობის „D“-„ C“ ფასადის კედლები, რომელთა დაშორება ქუჩის ღერძიდან მერყეობს 6.36-დან - 34.84 მ-მდე; რომელსაც ასევე არ ესაჭიროება ცეცხლმედგობის ხარისხი, საპროექტო კედელი ითვალისწინებს 1 საათიანს.

- შენობის “A”-“D” ფასადს, მისი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არსებულ საკადასტრო საზღვრამდე 0 სმ-ით არის დაშორებული , რომელსაც ესაჭიროება 1 საათიანი ცეცხლმედგობის ხარისხი, საპროექტო კედელი ითვალისწინებს 1 საათიანს.

- რაც შეეხება გარე კედლებში განთავსებული ღიობების ფართობებს, ის აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;

- დაცულია აგრეთვე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, რომლის თანახმად გარე კედლის ღიობები ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან შვეულად გამიჯნულია 0,9 მ-ზე მეტი მანძილით;

- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავს .

თ)სახურავის ანაწყობების შეფასება:

- შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა,მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის მოქცეულია პარაპეტის საზღვრებში. სახურავის კონსტრუქცია არის 2 საათიანი ცეცხლმედეგობისხარისხის, თუმცა კონსტრუქციის ტიპიდან (V-A) გამომდინარე 601 ცხრილის თანახმად მას შესაძლებელი იყო ჰქონოდა 1 საათიანიც;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში +0,10 ნიშნულზე არსებული სასაწყობო და საქმიანი ჯგუფის ერთეულები ერთმანეთისგან არის გამიჯნული, რადგან დაკავებულობის მიხედვით 508.4 ცხრილის შესაბამისად ესაჭიროება 2 საათიანი გამიჯვნა.
- შენობაში +4,07 ნიშნულზე სქ დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, რადგან დაკავებულობის მიხედვით არ საჭიროებს გამიჯვნას ერთი და იგივე დაკავებულობის ჯგუფები და აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს;
- ხოლო დერეფნები ამავე ნიშნულზე 708.3 ქვეთავის მიხედვით არანკალებ 1 საათიან გამიჯვნას საჭირებს, შესაბამისად პროექტანტმა გაითვალისწინა მოთხოვნა.
- შენობაში +0,10 ნიშნულზე არსებულ ჰოლს და ტუალეტს „წესების“ მიხედვით დაუკავებელი სივრცე და შესაბამისად აქ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავების მოწყობა საჭირო არ არის;
- 2 საათიანი ც.ხ მქონე იატაკის ანაწყობით არის გამიჯნული შენობის ყველა სართული;

კიბის უჯრედი შენობაში არის გამიჯნული , იგი განიხილება როგორც ცალკე მდგომ ობიექტად სწ-2 და სქ ჯგუფისგან და არ არღვევს 1009.3 ქვეთავის მოთხოვნას. კიბის კონსტრუქცია წარმოადგენს 2 საათიან ცეცხლმედეგობის ანაწყობს , რაც დასაშვებია 1009.3.1.8 ქვეთავის განსაზღვრულ მოთხოვნებს;

კ)ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

შენობა შეადგება 311.3 -ის მიხედვით(მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფის) სწ-2 ისაგან და სქ დაკავებულობა (ქვეთავი 304 - საქმიანი ჯგუფი) სადაც ავტოსაშხეფი სისტემის აუცილებლობლა არ გვხვდება.

პროექტით გათვალისწინებულია:

- ხელის ცეცხლმაქრები .
- კვამლის კონტროლის სისტემა

ლ)წყალსადენისისტემისფიქსირებულიმოწყობილობებისშეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს, სწ-2-ისა და სქ-ის დაკავებულობებისათვის.

დასკვნა

ქალაქი თბილისი , ლისი, "ჭეების მიწა" ლ. კვაჭაძის ქუჩაზე, ახალი იპოდრომის მოპირდაპირედ (ს/კ:72.16.18.964) დაპროექტებული სასაწყობო შენობის პროექტი შესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინროკომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა - ნაგებობისუსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით!



ექსპერტი: მ. შელეკიძე 11 ივნისი 2018 წ.

გამოყენებული მასალები:

ზ.გამხიტაშვილი; ნ.ბაჩიაშვილი მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობისნებართვისგაცემისწესისადასანებართვოპირობებისშესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.

2. „ტექნიკურირეგლამენტის„შენობა-ნაგებობისუსაფრთხოებისწესების“ დამტკიცებისთაობაზე“საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

3. №498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე

ექსპერტის მონაცემები

სახელი: მაკა

გვარი : შელეკიძე

დაბადების თარიღი: 02 ივლისი 1979 წელი

დაბადების ადგილი: ქ.თბილისი

ტელეფონი: +995(5)93 577 416

E-mail m.shelekidze@gmail.com

პროფესია: არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება: 15 წელი

პროფესიული გამოცდილება:

2004-2005 წ.წ – სს "საქალაქმშენპროექტი"

სამედიცინო ობიექტების პროექტირება/დიზაინი

არქიტექტორი

2005-2009 წ.წ – შპს "ბრაფიტი"

მრავალფუნქციური შენობების პროექტირება/დიზაინი

არქიტექტორი

2008-2016 წ.წ – შპს "იტალლივინგი"

საპროექტო კომპანია

დირექტორი

2016-2017 წ.წ – ს.ს.ი.პ საბანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო

არქიტექტორი

2017-დღემდე – შპს "ბონა დეა და კომპანია"

ს.ს.ი.პ საბანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო

არქიტექტორი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 009041

This is to certify that Mr./Mrs. Maka Shelekidze in the year 2002 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 15, 2002 Mrs. Maka Shelekidze is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi September 30, 2002

Registration № 06509 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 009041

მიეცა მაკა შალვას ასულ შელეკიძეს
მასზედ, რომ მან 2002 წელს დაამთავრა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის
2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით
მაკა შალვას ასულ შელეკიძეს
მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია

რექტორი .....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 30 სექტემბერი, 2002 წ.

სარეგისტრაციო № 06509 მდივანი .....

სერტიფიკატი

№ 2017 - 114

გადაეცემა

მაკა შელეკიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაწილების სასაწყობო მეურნეობა (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))
4. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))
5.საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))
6 .საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცე (მიწისზედა II სართული +4.07 ნიშნულზე))

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	V-A ტიპის კონსტრუქცია
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	4 სართული	1 სართული (-3,35 ნიშნულზე)
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	4 სართული	2 სართული (-3,35; +0.10 ; +4,07 ნიშნულზე)
3. საქმიანი ჯგუფი სქ	3 სართული	2 სართული (+0.10 ; +4,07 ნიშნულზე)
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
საერთო სიმაღლე =	15.20	8.10
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		3
მიწის დონის ქვედა სართულის რაოდენობა =		0

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი კვ.მ.	შემოთავაზებული ფართობი კვ.მ.
1.სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაწილების სასაწყობო მეურნეობა (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))	1950	185.14
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))	1950	210.00
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	1950	406.94
4. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	1950	247.02
5.საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	1950	10.14
6 .საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცე (მიწისზედა II სართული +4.07 ნიშნულზე))	1670	27.19+15.61+32.22+24.17+28.11= 127.3
იატაკის საერთო ფართობი =	185.14+210.00+406.94+406.94+247.02+10.14+127.3=1186.54კვ.მ.	
იატაკების რაოდენობა =	მიწის დონის ზედა 2	
შენობის საერთო ფართობი =	426,56+727.75+303,73= 1458.04 კვ.მ.	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი**(საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
1-7 ღეძებში (+0.10 ნიშნული)	7.79-10.31 (მანძილი საზოგადოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	70%			0%
1-6 ღეძებში (+4.07 ნიშნული)	19.79-23.16 (მანძილი საზოგადოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			3.6%
7-6 ღეძებში (+0.10 და +4.07 ნიშნული)	17.43 (მანძილი საზოგადოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			0%
6-4 ღეძებში (+0.10 ნიშნული)	16.40 (მანძილი საზოგადოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			68.2%
4-1 ღეძებში (+0.10 ნიშნული)	22.03 (მანძილი საზოგადოე-ბრივი გზის	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			35.4%

	მხარეს)								
6-2 ღეძებში (+4.07 ნიშნული)	25.28 (მანძილი საზოგად ოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუ-დავია	შეუზღუ-დავია	შეუზ-ღუდავია			100%
D-C ღეძებში (+0.10 ნიშნული)	6.36 (მანძილი საზოგად ოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუ-დავია	შეუზღუ-დავია	45%			24.7%
C-A ღეძებში (+0.10 ნიშნული)	12.03 (მანძილი საზოგად ოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუ-დავია	შეუზღუ-დავია	შეუზ-ღუდავია			28.4%
D-C ღეძებში (+0.10 ნიშნული)	12.03 (მანძილი საზოგად ოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუ-დავია	შეუზღუ-დავია	შეუზ-ღუდავია			28.4%
C-B ღეძებში (+4.07 ნიშნული)	14.99 (მანძილი საზოგად ოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუ-დავია	შეუზღუ-დავია	შეუზ-ღუდავია			55.7%
B-A ღეძებში (+4.07 ნიშნული)	34.84 (მანძილი საზოგად ოე-ბრივი გზის მხარეს)	1	1	შეუზღუ-დავია	შეუზღუ-დავია	შეუზ-ღუდავია			28.5%
A-D ღეძებში (+0.10 და +4.07 ნიშნული)	0	1	1	დაუშვებ ელია	დაუშვებე ლია	დაუშვებე ლია			0

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები /გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
1.სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაწილების სასაწყობო მეურნეობა (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))	–	–	–	–	კი	კი	–
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))	–	–	–	–	კი	კი	–
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	–	–	–	–	კი	კი	–
4. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	–	–	–	–	კი	კი	–
5.საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	–	–	–	–	კი	კი	–
6 .საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცე (მიწისზედა II სართული +4.07 ნიშნულზე))	–	–	–	–	–	–	–
კიბის უჯრედები	–	–	–	–	–	–	–
დერეფნები	კი	–	–	–	–	კი	–
ლიფტის შახტი							

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
1.სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაწილების სასაწყობო მეურნეობა (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))	–	კი
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი (მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე))	–	კი
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	კი	–
4. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	–	კი
5.საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო (მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე))	–	კი
6 .საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცე (მიწისზედა II სართული +4.07 ნიშნულზე))	კი	–
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 +7.80 ნიშნულზე	–	კი
კიბის უჯრედები	–	კი
ლიფტის შახტი		
დერეფნები	კი	–

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება										
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწისქვეშა სართული -3.35 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაწილების სასაწყობო მეურნეობა დ.დ. 4	1	1 გზა-კარები	–	–	–	–	0.82	4.00
მიწისქვეშა სართული -3.35 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი დ.დ. 11	1	1 (გზა-კარები და გზა-დერაფანი)	–	–	–	–	3.5	4.00
მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი დ.დ. 9	1	2 (გზა-კარები და გზა-დერაფანი)	1.2	1.4	1.2	4.8	0.82	5.00 1.50
მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი დ.დ. 5	1	2 (გზა-კარები და გზა-დერაფანი)	1.2	1.4	1.2	4.8	0.82	1.30 1.80
მიწისპირა სართული +0.10 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო დ.დ. 1	1	1 (გზა-კარები და გზა-დერაფანი)	1.2	1.4	1.2	4.8	0.82	0.90
(მიწისზედა II სართული +4.07 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცე დ.დ. 14	1	1 (გზა-კარები, გზა-კიბე და გზა-დერაფანი)	1.2	1.4	1.2	2.07	0.82	0.90

შენიშვნა: რადგან მიწისპირა სართულის დაკავებულობის სივრცე უკავშირდება მეორე სათულზე არსებულ იგივე დაკავებულობის სივრცეს, დერეფანს არ საჭიროებს. შესაბამისად არც ტამბურის მოწყობას კიბის უჯრედთან.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა

ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ლითონის ნაწილების სასაწყობო მეურნეობა დ.დ. 4	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
მიწისქვეშა სართული - 3.35 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი დ.დ. 11	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
მიწის პირა I სართული ±0.10 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი დ.დ. 9	1	1	1	1	–	–	–	–	1	1	–	–
მიწის პირა I სართული ±0.10 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (პავილიონის ტიპის შოურუმი დ.დ. 5	1	1	1	1	–	–	–	–	1	1	–	–
მიწის პირა I სართული ±0.10 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო დ.დ. 1	1	1	1	1	–	–	–	–	1	1	–	–
(მიწისზედა II სართული +4.07 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ (მომსსახურე პერსონალის კაბინეტები) დ.დ. 18.7	1 ცალი 25-ზე პირველი 150-თვის				–	1	–	1	1	1	–	–